ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლ ე ნ ტ ე ხ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს  ს ა კ რ ე ბ უ ლ ო
G E O R G I A
CITY COUNCIL  OF LENTEKHI MUNICIPALITY

განკარგულება:**g-97. 97233331**
თარიღი:**29/11/2023**

**კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლენტეხის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის (Lentekhi Local Action Group) დაფუძნებაში მონაწილეობისა და მასში გაწევრიანების თაობაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ**

---

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ბ'' ქვეპუნქტის და ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 27 ნოემბრის N96-962333128 წინადადების შესაბამისად ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

**გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერს კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლენტეხის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის (Lentekhi Local Action Group) დაფუძნებაში მონაწილეობისა და მასში გაწევრიანების თაობაზე გადაწყვეტილების მიზანშეწონილობაზე.

2. კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლენტეხის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის ((Lentekhi Local Action Group) დამფუძნებლის უფლებამოსილება განახორციელოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიამ.

3. განკარგულება გადაეგზავნოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიას.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ლენტეხის მაგისტრატ სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი